ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები

ნაწილი 3: კომპანიის დაფუძნება

კომპანიის (მათ შორის სატრასტო კომპანიის) დაფუძნება პროფესიონალი ბუღალტრების მიერ გაწეული ერთ-ერთი ისეთი მომსახურებაა, რომელიც ყველაზე მეტად არის მგრძნობიარე ფულის გათეთრების რისკის მიმართ. წინამდებარე პუბლიკაციის ამ ნაწილში განხილულია, როგორ შეუძლიათ პროფესიონალ ბუღალტრებს კომპანიის დაფუძნების პროცესში რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება, საფრთხის ძირითადი ნიშნების იდენტიფიკაცია და იმის განსაზღვრა, რა შემთხვევაში უნდა თქვან უარი საეჭვო გარიგებაზე ან/და წარუდგინონ სათანადო ორგანოებს ანგარიში საეჭვო საქმიანობის შესახებ.

როგორ იყენებენ სისხლის სამართლის დამნაშავეები კომპანიის დაფუძნების მომსახურებას?

კომპანიის დაფუძნების მომსახურება შეიძლება მოიცავდეს:

- კომპანიის ან სხვა იურიდიული პირების რეგისტრაციას;
- კომპანიის დირექტორის, პარტნიორის ან აქციების ნომინალური მფლობელის რანგში მოქმედებას ან სხვა პირის მოწყობას ამგვარი მოვალეობების შესასრულებლად; ან
- რეგისტრირებული ოფისის ან იურიდიული მისამართის უზრუნველყოფას.

დამნაშავეებს იზიდავს ანონიმურობა და უკონტროლობა, ასევე კორპორაციული მექანიზმების გამოყენება უკანონო სახსრების გადაადგილებისა და დამალვის მიზნით. კომპანიებში, განსაკუთრებით კი ოფშორულ კომპანიებში, კორპორაციული დირექტორის თანამდებობაზე ყოფნით დამნაშავეს შეუძლია კორპორაციული სტრუქტურისგან დისტანცირება, რაც სამართალდამცავ ორგანოებს ურთულებს შემოსავლის წყაროს დადგენას.

დამნაშავეებმა კორპორაციულ სტრუქტურებს შორის კავშირი შეიძლება შენიღბონ კომპანიის რეგისტრაციისთვის რწმუნებულის გამოყენებით, კერძოდ, სხვადასხვა იურიდიული მისამართის მქონე რამდენიმე კომპანიის დასაფუძნებლად.

დამნაშავეები, რომლებიც ცდილობენ რესპექტაბელურობის ფასადის შექმნას, შეიძლება იძენდნენ გარკვეული ისტორიის მქონე რეგისტრირებულ, მაგრამ უმოქმედო კომპანიებს.

როგორ გამოვიყენოთ „რისკზე დაფუძნებული მიდგომა“ კომპანიის დაფუძნების პროცესში?

დამკვეთის დიუ დილიჯენსი

მნიშვნელოვანია დამკვეთის კომპლექსური შემოწმების/დიუ დილიჯენსის (CDD) ჩატარება იმ პირებისთვის, რომლებიც გახდებიან დასაფუძნებელი კომპანიის ან სატრასტო ორგანიზაციის საბოლოო მფლობელები ან მაკონტროლებელი მხარეები, ან სარგებელს მიიღებენ მისგან. ეს მოგცემთ საშუალებას, შეაფასოთ რისკი იმისა, რომ შესაძლოა დამკვეთი მონაწილეობდეს უკანონო საქმიანობაში ან შეიძლება თქვენ შეუწყოთ ხელი ასეთ საქმიანობას. თუ აღნიშნული პირების ვინაობა რაიმე ეჭვს იწვევს თქვენში, უფრო მკაცრად გადაამოწმეთ, ფართო სპექტრის მტკიცებულებების შეგროვებით.

კომერციული დასაბუთება

ყოველთვის უნდა ეცადოთ იმ კომერციული მიზეზების გარკვევას, რომელთა გამოც დამკვეთმა გთხოვათ კომპანიის დაფუძნება ან მის ადმინისტრირებაში დახმარება. პროფესიული სკეპტიციზმის განწყობით მოქმედება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა თქვენდა უნებურად ხელი არ შეუწყოთ უკანონო საქმიანობას.

ფულადი სახსრების/დაგროვილი ქონების წყაროს შემოწმება

თუ დამკვეთი გთხოვთ კომპანიის დაფუძნებას ამა თუ იმ ოპერაციის განხორციელების მიზნით, უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენთვის ცნობილია ფულადი სახსრების წყარო. მაგალითად:

- ოჯახის ქონება ან მემკვიდრეობა;
- აქტივ(ებ)ის გაყიდვა;
- გრძელვადიანი ინვესტიციები;
- კომპანიის მფლობელობა.

პოლიტიკური ფიგურების შემოწმება

დაკვეთისთვის კომპანიის დაფუძნებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების პროცესში თქვენ უნდა დაადგინოთ, არის თუ არა დამკვეთი ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი პოლიტიკური ფიგურა (PEP). თუ ასეა, უნდა განიხილოთ ქრთამის ან კორუფციის შედეგად მიღებული შემოსავლის კომპანიის მეშვეობით „გატარების“ რისკი. დამკვეთის შესამოწმებლად შეიძლება აუცილებელი იყოს უფრო მაღალი დონის დიუ დილიჯენსის (CDD) ჩატარება, თუ დაადგენთ, რომ დამკვეთი ან მასთან საქმიანი ურთიერთობების მქონე პირები პოლიტიკური ფიგურები არიან.

მაგალითი კომპანიის დაფუძნების შესახებ*

Othello & Co-ს მიმართეს გაერთიანებულ სამეფოში კომპანიის დასაფუძნებლად. პირმა, რომელიც Othello-ს დაუკავშირდა, განაცხადა, რომ ის მომავალი აქციონერების საოჯახო ოფისის წარმომადგენელია. ცნობილია, რომ ეს აქციონერები უაღრესად მდიდარი ადამიანები არიან, რომლებიც ლათინურ ამერიკაში ცხოვრობენ. მათ იმიტომ სჭირდებოდათ კომპანიის დაფუძნება, რომ აპირებდნენ მისი საშუალებით მალფუჭებადი საკვები პროდუქტების დისტრიბუციას გაერთიანებული სამეფოს ბაზარზე.

კომპანიის აქციების მფლობელი იქნებოდა სატრასტო კომპანია. როგორც აღმოჩნდა, ეს კომპანია შექმნილი იყო ახალი ზელანდიის კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ მდებარეობს ბერმუდის კუნძულებზე. Othello & Co-მ ძალზე მწირი ინფორმაციის მოპოვება შეძლო სატრასტო კომპანიის შესახებ. ახალი კომპანიის კაპიტალიზაციისთვის, მოსაკრებლებისა და ხარჯების დასაფარად საჭირო ფულადი სახსრები უნდა გადაეხადა იურიდიულ ფირმას, რომელიც მაიამიში მდებარეობს. Othello & Co-ს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები წარუდგინეს სატრასტო კომპანიის ბენეფიციარებისა და დამფუძნებლების შესახებ, რომლებიც, როგორც ჩანდა, ძალიან მდიდარი ადამიანები იყვნენ. თუმცა, მათი პროფაილები ძალიან მწირია და არსად არ ფიქსირდება საჯარო ინფორმაცია მათი ბიზნესის ან სოციალური აქტივობის შესახებ. Othello-მ ვერ მოიპოვა მტკიცებულებები მათი ქონების წყაროს შესახებ. იგი შეეცადა ინფორმაციის მოპოვებას ლათინურ ამერიკაში იმ კომპანიის საქმიანობის შესახებ, რომელსაც სასურსათო პროდუქტები უნდა შეესყიდა და მიეწოდებინა გაერთიანებულ სამეფოში დაარსებული კომპანიისთვის. მართალია არსებობდა ამ კომპანიის ვებგვერდი, მაგრამ ვებგვერდზე არ არსებობდა არანაირი ინფორმაცია იმის თაობაზე, როგორ შეიძლებოდა საქონლის ყიდვა, არც სავაჭრო აგენტის საკონტაქტო ინფორმაცია იყო მითითებული.

Othello & Co-მ კომპანიის დაფუძნების თხოვნას თავაზიანი უარით უპასუხა.

*შენიშვნა: სახელწოდებები შეცვლილია კონფიდენციალობის დაცვის მიზნით.

საფრთხის ძირითადი ნიშნები

კომპანიის დაფუძნების პროცესში პროფესიონალ ბუღალტრებს უნდა შეეძლოთ ფულის გათეთრების რისკთან დაკავშირებული საფრთხის ძირითადი ნიშნების შეცნობა. პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა გამოიყენონ პროფესიული განსჯა და თავი აარიდონ ასეთ გარიგებას ან/და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინონ ანგარიში საეჭვო საქმიანობის შესახებ. საფრთხის ძირითადი ნიშნებია:

- მოთხოვნა კომპანიის სტრუქტურის ფორმირებასთან დაკავშირებით, ამგვარი სტრუქტურის მკაფიო კომერციული მიზნის გარეშე;
- კომპანიების დაფუძნება მფლობელობის რთული სტრუქტურებით, ბევრ ქვეყანაში, კომერციული დასაბუთების გარეშე;
- პოტენციური დამკვეთები, რომელთაც არ სურთ დამკვეთის დიუ დილიჯენსის ჩასატარებლად საჭირო ინფორმაციის მიწოდება, რომელიც აუცილებელია ახალ დამკვეთთან ურთიერთობის დასამყარებლად;
- პოტენციური დამკვეთები, რომლებიც თავს არიდებენ ინფორმაციის გამჟღავნებას საკუთარი სიმდიდრის/ქონების წყაროს შესახებ;
- პოტენციური დამკვეთები, რომლებიც ზედმეტად ჩქარობენ ამა თუ იმ სტრუქტურის შექმნას, განსაკუთრებით ბევრ ქვეყანაში;
- პოტენციური დამკვეთები, რომლებიც ცდილობენ საბანკო ან/და საკრედიტო ისტორიის მქონე, მაგრამ უმოქმედო კომპანიის შეძენას.

დამატებითი დახმარება

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ზოგადი მითითებების გასაცნობად იხილეთ FATF-ის *„სახელმძღვანელო მითითებები ბუღალტერიის პროფესიის რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ“*. ხოლო ადგილობრივი დეტალური ინფორმაციის მისაღებად, მათ შორის, შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ, დაუკავშირდით ბუღალტერთა პროფესიულ ორგანიზაციას, რომლის წევრიც ხართ.

რა შემთხვევაში უნდა თქვათ უარი გარიგებაზე

- თუ ეჭვი გაგიჩნდებათ დამკვეთის დიუ დილიჯენსის (CDD) დროს წარმოდგენილი დოკუმენტების ავთენტიკურობასთან დაკავშირებით.
- თუ დამკვეთი ცდილობს დირექტორის ან ბენეფიციარი მფლობელის შესახებ ინფორმაციის გაყალბებას ოფიციალურ დოკუმენტებში.
- თუ სიმდიდრის/ქონების წყაროს გამოკვლევა ეჭვს ბადებს ფულადი სახსრების დანაშაულებრივი წარმოშობის შესახებ.
- თუ დამკვეთის შესახებ ინფორმაციის გადამოწმების შედეგად შეუძლებელია არსებითი მონაცემების მოპოვება, რომლის არსებობასაც მოელით ასეთი ტიპის ან სიდიდის დამკვეთის შესახებ (იხ. მაგალითი ზემოთ) და ამასთან დაკავშირებით ვერ მიიღებთ დამაკმაყოფილებელ ახსნას.

ანგარიშის წარდგენა საეჭვო საქმიანობის შესახებ (SAR)

თუ ეჭვი გაქვთ, რომ დამკვეთს ან პოტენციურ დამკვეთს ჩადენილი აქვს დანაშაული უკანონო შემოსავლების მიღების სახით, მაშინ თქვენ შეიძლება ვალდებული იყოთ, ფინანსური მონიტორინგის ადგილობრივ ორგანოს წარუდგინოთ ანგარიში საეჭვო საქმიანობის შესახებ.

- აღნიშნული ანგარიშით სამართალდამცავი ორგანოებისთვის ცნობილი გახდება თქვენი ეჭვი ფულის გათეთრების შესაძლებლობის შესახებ.
- ზოგიერთ ქვეყანაში პროფესიონალი ბუღალტრებისთვის განსაზღვრულია სამართლებრივი ვალდებულება, საეჭვო საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით.
- საეჭვო საქმიანობის შესახებ ანგარიში ავსებს სამართალდამცავი ორგანოს საინფორმაციო-საგამოძიებო სურათს და შეიძლება დანაშაულის გახსნის დროს თავსატეხის ერთ-ერთი საჭირო ელემენტი იყოს.
- ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად გაერთიანებულ სამეფოში) საეჭვო საქმიანობის შესახებ ანგარიში სამართალდამცავ ორგანოებს აწვდის სიგნალს მოწყვლად ადამიანებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაბამისი დანაშაულის, მაგალითად ადამიანების ტრეფიკინგის, მსხვერპლნი არიან.

IFAC International Federation of Accountants®
529 Fifth Avenue, New York 10017
www.ifac.org | +1 (212) 286-9344 | @ifac | company/ifac

ICAEW
www.icaew.com
@icaew | company/icaew

Copyright © September 2020 by the International Federation of Accountants (IFAC) and the INSTITUTE OF CHARTERED ACCOUTANTS IN ENGLAND AND WALES (ICAEW). All rights reserved. Used with permission of IFAC and ICAEW. Contact permissions@ifac.org for permission to reproduce, store or transmit, or to make other similar uses of this document

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 3: კომპანიის დაფუძნება“ - ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC თავის თავზე არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, არც მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 3: კომპანიის დაფუძნება“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 3: კომპანიის დაფუძნება“ - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: Anti-money laundering: The Basics – Installment 3: Company Formation.

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: *Permissions@ifac.org*